ცნობის ფურცელი

№ 1845 შაბათი, 22 ივნისი 1896—1902 ყოველ-დღიური გამოცემა № 1845

გაზეთის ფასი: წელიწადში—6 მან., თვეში—75 კაპ., ცალკე ნომერი—3 კაპ., ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით“ პირველ გვერდზე—10 კ., მეოთხეზე—5 კაპ.

ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბე“-„ცნობის ფურც.“ რედაქციის კონტორაში ვაჩნაძის დიდ ქუჩაზე, № 27 და წ. გამ. ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (ქვაშვეთის ეკლესიის პირდაპირ).

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირდაპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, შუადღის 11—1-ლ საათამდე.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели“-„Моамбе“. ტელეფონი № 372

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყოველ დღიური გაზეთი
„ცნობის-ფურცელი“
სურათებიანი დამატებით

1-ლ ივნისიდან წლის დამლევამდე ტფილისში დარიგებით და ქალაქგარედ გაგზავნით (რუსეთის იმპერიაში) ღირს **4** მან.

ადრესი: Тифлисъ, редакція «Цнобисъ-Пурцели» (Большая Ванкская ул., домъ Мартирузова).

მაღაზია
ნ. ა. საზაევისა და ფ. ს. ფილიპოვისა
ქ. ქუთაისში

გიმნაზიისა და ალექსანდრეს ქუჩების კუთხეში, ბულვარის პირდაპირ.

გვაქვს პატივი ვაცნობოთ პატივცემულ **ქუთაისის და ქუთაისის ახლო-მახლო სოფლების საზოგადოებას**, რომ ჩვენს მაღაზიაში გვაქვს მუდამ მრავალ-გვარი **ფარფორის და ფაიანსის ნაქონელი** სხვა-და-სხვა ხრუსტალის და შუშეულების ნაწარმოები, ვარშავისა და საზღვარ-გარეთელი ლამპები. საზღვარ-გარეთელი რკინეული საელემენტო ჭურჭლეულობა უმაღლესი ხარისხისა. სპილენძის ჭურჭლეულობა, სამოვრები და ყოველ-გვარი საოჯახო კუთვნილებანი. მელხიორის და ბრიჯაოს ნაწარმოებნი. ვენის გაღუნული ბამბუკის სახლის ავეჯეულება. ინგლისური და ვარშავის კრაოტები და მატრაცები. სხვა-და-სხვა კედლის და სატუალეტო სარკეები. კლიონკები და ლინოლეუმები პოლისთვის. რუსული და საღვარ-გართელი გიტარები, სკრიპკები და სტრუნები ყოველ-გვარი. საეკკლესიო კუთვნილებანი.

ყველაფერი ისყიდება **ზომიერ ფასად და უვაჭროდ**. (45—40)

ტფილისის
კერძო სამკურნალო
მიხეილ ზედგენიძისა.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა

დილით:

პ. ი. ჭიჭინაძე—კბილის სნეულებანი 8—10 საათამდე.

ზ. ზ. მაღალაშვილი—შინაგანი 10—11 საათამდე, სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით.

ი. პ. ახალშენიშვილი—კბილის სნეულებანი 10—12 საათამდე.

ქ. მ. ელიოზიშვილი—შინაგანი და ბავშვებისა 11—12 საათამდე.

ა. ზ. ბარსუკოვი—დედათა სნეულებანი, ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით 12—1 საათამდე.

ვ. მ. მანსვეტოვი—შინაგანი ნერვებისა და ბავშვებისა. სამშაბათს და პარასკევს 1—2 საათამდე. კვირაობით 9—10 საათამდე.

ზ. მ. ამბარდანოვი—სიფილისისა, კანისა და საშარდესი 1—2 საათამდე.

ბრ. ვ. სობოლევსკი—ხირურგია და ორტოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით 1—3 სათ.

საღამოთი:

ი. ნ. თუმანიშვილი—დედ.-თა სნეულებანი 5—6 საათამდე.

მ. ი. იანჩევსკი—ყურისა, ყელისა და ცხვირისა. 5—6 ს. კვირაობით 12—1 ს.

ა. ზ. მაღალაშვილი—შინაგანი ბავშვებისა და ყვავილის აცრა 5—6 საათამდე. (მიკრო-ქიმიური და ბაქტერიოლოგიური გამოკვლ.)

ზ. მაღალაშვილი—კვირაობით, 10—12 საათამდე.

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები.

ფასი რჩევისა და დარიგებისა 50 კაპ.; ოპერაციები და კრაოტები—მორიგებით.

ადრესი: კუკია, ნიკოლოზის ქუჩა, სახლი საკინძეგიძისა, № 21. (ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ.-**ტელეფონი** № 274. (წლ.)

ექიმი

ვ. ს. მუსხელაშვილი

მიიღებს თვალებით ავადმყოფებს დილით 1—3 საათამდის, საღამოთი 7—8 საათ.

წყნეთის ქუჩა № 24 სახ. ვაჩნაძისა. (წ.)

ქ. გორში,
ექიმი კონსტანტინე ლაზარეს ძე
ცურიაშვილი,

საკუთარ სახლში, იღებს ავადმყოფებს: შინაგანითა, საბავშო და თვალის.

მდგომარე წლის 30 ივნისს, საღამოს 8 საათზე, ამხანაგობის სადგომში (ვანქის ქუჩაზე) **დანიშნულია მორიგი კრება**

წიგნების გამომცემელ
ქართველთა ამხანაგობისა

განსახილველია:

1. წარსული წლების ანგარიშები.
2. კითხვა პირობის მე-4 და 6 მუხლთა შესახებ.
3. კითხვა პირობის მე-10 მუხლის ზოგიერთ ადგილების შესახებ და აგრეთვე მდივნის თანამდებობის შესახებ.
4. არჩევა სარევიზიო კომისიისა.

მხოლოდ იმ წევრთ შეუძლიანთ კრებაზე დასწრება, ვისაც ამხანაგობის პაი თავის სახელზე აქვთ.

ბორჯომში
ექიმი ვ. ღამბაშიძე

იღებს ავადმყოფებს დილის $8^1/_2$—11-მდე და საღამოს 4—6 საათამდე, ყოველ დღე კვირა დღეს გარდა.

ბინა: გოფმეისტრის ქუჩაზე, საეკკლესიო ქუჩის ასახვევთან, გინცენბერგის სახლი.

კბილის ექიმი

ივანე პავლეს ძე

ახალშენიშვილი

იღებს ყოველ-დღე კბილის სნეულებით ავადმყოფებს დილის 8—10 საათ. და 11—2-მდის. კვირა-უქმე დღეებში 10—1-დის და საღამოთი 5—7-დის.

ელისაბედის ქუჩა, № 38. (წლ.)

ექიმი

ალექსანდრე გიორგის ძე

მაღალაშვილი

იღებს ყოველ-დღე შინაგანისა და საბავშო სნეულებით ავადმყოფებს დილით 12—2 საათამდე და საღამოთი 4—5-მდე მიიღებს აგრეთვე საქმით: ქიმიურ, მიკროსკოპიულ და ბაქტერიოლოგიურ გამოკვლევათა. ოქრო-მჭედლების ქუჩა, № 40, თუღლაევის სახლი.

ქ. სიღნაღში

კიევის უნივერსიტეტის ბავშთა კლინიკის ასისტენტი

ექიმი

ა. ი. ბალარჯაშვილი

მიიღებს ზაფხულის განმავლობაში 20 აგვისტომდე ბავშვთა და შინაგან სენით შეპყრობილ ავადმყოფთ. (15—11)

რედაქციისაგან

გავახსენებთ „ცნ. ფურცლის“ და ჟურნალ „მოამბის“ ხელის მომწერთ, რომ დააჩქარონ ხვედრი ფულის გამოგზავნა, წინააღმდეგ შემთხვევაში 1 ივლისიდან გაზეთ-ჟურნალი აღარ გაეგზავნებათ მათ, ვინც არ შემოიტანს ხვედრ ფულს.

საზღვარ-გარედ

ესპანია. აღელვება ესპანიაში არა დაცხრება, მეტადრე კატალონიაში. ახლანდელი წესიერების დარღვევის მიზეზი შეიქმნა კანალეიასის მოსვლა ბარცელონაში, რომელმაც შემოიარა სხვა-და-სხვა კუთხე ისპანიისა და ყველგან კლერიკალიზმის წინააღმდეგი სიტყვები წარმოსთქვა. კანალეიასი რომ ბარცელონაში მოვიდა, ხალხმა დაიწყო ყვირილი: გაუმარჯოს დემოკრატიას! ძირს კლერიკალიზმიო! მაშინათვე ჟანდარმები მიესივნენ ხალხს, მაგრამ აღელვება უფრო გაძლიერდა და გავრცელდა. ამით ისარგებლა გენერალ-კაპიტანმა და აღკრძალა მომავალი კრება და მანიფესტაცია. კანალეიასი დაბრუნდა მადრიდში, სადაც დემოკრატებმა და რესპუბლიკელებმა ოვაციებით მიიღეს. ლიბერალური პრესსა ენერგიულ პროტესტს აცხადებს და საგასტას ამტყუნებს, რომ ლიბერალი სამინისტროს სახელი ჰქვია და ქცევით კი რეაქციონურ მთავრობასავით იქცევა და კლერიკალიზმის დამცველელად გამოდისო.

ოსმალეთი. ფუად-ფაშას, რომელიც სულთანის ბრძანებით დამასკის საპყრობილეში უნდა გაეგზავნათ, გაქცევა დაუპირებია, მაგრამ, რომ ვერ მოუხერხებია-რა, თავის მოკვლა განუზრახავს. ახლა მას სასტიკად თვალ-ყურს ადევნებენ: მის ოთახში დღე და ღამ ორი აფიცერი ყარაულობს. ერთი გერმანელი გაზეთი იუწყება, რომ მისი მდგომარეობა უიმედოაო.

მაკედონია. სოფიიდან იწერებიან, რომ ავსტრო-უნგრეთის კონსულმა ქალაქ მონასტირში ერთ სკოლის მასწავლებელს მიანდო მაკედონური ენის გრამატიკის შედგენაო. კონსულის ასეთ საქციელში ავსტრო-უნგრეთის პოლიტიკის ნიშნებს ჰხედვენ მაკედონიის შესახებ. მაკედონიაში გავრცელებულია რამდენიმე ენა: ბოლგარული, სერბიული, ბერძნული, რუმინული, ალბანური და ოსმალური. განსაკუთრებული მაკედონიური ენა კი არ არსებობს. ბალკანეთის ერები, თქმა არ უნდა, არ ინდომებენ „მაკედონურ ენას“, როგორც სერბიელებმა და კროატებმა ბოსნია-ჰერცოგოვინაში უარ-ჰყვეს კალაის მიერ გამოგონებული ბოსნიური ენა.

გერმანია. დიდ ჰერცოგს საქსენ-ვეიმარისას პოზნანში მრავალი მამული აქვს, რომელიც მისს მეუღლეს ერგო ჰანნოვერის მეფისაგან მემკვიდრეობით. დიდ ჰერცოგს და მის მეუღლეს პრუსია ეჯავრებათ და იმპერატორ ვილჰელმის მარიენბურგის სიტყვას პოლონელების წინააღმდეგ მეტად ცუდის თვალით შეჰხედეს. ახლა ხან დიდი ჰერცოგის უმთავრესს სამოურავოს განკარგულება მოუვიდა, დაუყოვნებლივ შეუდექით მამულების გაყიდვას იმ აუცილებელის პირობით, რომ მიწები მხოლოდ პოლონელებს ჩაუვარდეთ ხელშიო. გაკატისტების გაზეთები ამბობენ, რომ ეს გერმანელების სილის გარტყმაა დიდი ჰერცოგისგან და თხოულობენ განკარგულების გაუქმებას.

ჩინეთი. ტიან-ძინის განუთავებელ ოკკუპაციას ჩინეთი ისე უყურებდა, როგორც ხელშეკრულობის დარღვევას. ეს ქალაქი უმთავრესი ქალაქია პეჩე-ლის ყურეში ვაჭრობის მხრივ. იგი მეფის მოადგილეს რეზიდენციაა და სატახტო ქალაქი პროვინციისა. ევროპიელი სახელმწიფოები მოვალენი იყვნენ დაეცალათ ტიან-ძინი და ჩაებარებინათ იგი ჩინეთისათვის, როგორც კი ნორმალური წესი დამყარდებოდა. ბევრმა თვეებმა გაიარეს მას აქეთ. წესიც დამყარდა, მაგრამ სახელმწიფოთა სამხედრო წარმომადგენლებს თითქო დაავიწყდათ პირობა. ასეთი ვადის გაგრძელება ერთის მხრით ცუდ მდგომარეობაში აყენებდა პე-ჩე-ლის მეფის მოადგილეს და მეორეს მხრით—ცუდ შთაბეჭდილებას ახდენდა ჩინელებზე სიტყვის გატეხა. უმთავრესი ძალა რუსეთს ეკუთვნოდა და ინგლისის პარლამენტი განუწყვეტლივ ეკითხებოდნენ მთავრობას, როდის გაიყვანს რუსეთი ჯარსაო. ახლა რუსეთმა დასტოვა ტიან-ძინი და, როგორც უცხოეთის პრესსა განმარტავს, სხვათა შორის ასე იმიტომ მოიქცა, რომ ჩინეთის დიპლომატიას აჩვენოს თავისი მოყვარეობაო. ამ ჟამად დროებით მთავრობას ტიან-ძინში ინგლისის, გერმანიის, საფრანგეთის, იტალიის და იაპონიის წარმომადგენლები შეადგენენ. რუსეთის მაგალითს საფრანგეთი მალე მიჰყვება. საქმე ის არის, სხვები როგორღა მოიქცევიან? ინგლისს ურჩევენ ტიან-ძინის მიტოვებას, შენ თითონ უნდა მიგეცა მაგალითი, მაგრამ რახან ასე არ მოიქეცი, სხვის მაგალითს მაინც მიჰყეო. თუ ინგლისი წავიდა, იაპონიაც დიდხანს აღარ დარჩება, რადგან მას არა ჰსურს ჩინელების მომდურება. რაც შეეხება იტალიას, მას იქ არაფერი ინტერესი არა აქვს, რომ დარჩეს. როგორ მოიქცევა გერმანია? ფრანგული გაზეთის აზრით, იგიც იძულებული იქნება დასტოვოს ტიან-ძინი, მიუხედავად ვილჰელმის „მსოფლიო პოლიტიკისა“ და სხვა ამგვარ დიდი ფრაზებისა; კიაო-ჩაოს და ლიაო-ტონგის პროტექტორატით თავს ვერ გაიმართლებს გერმანია და არ ინდომებს ძალით უსიამოვნების გამოწვევას. ამ გვარად ტიან-ძინიდან რუსეთის აბარგებას თავის თავად მოჰყვება სხვების წამოსვლაც.

ნუ თუ ის არ სჯობდა, რომ ევროპის სახელმწიფოებს თანხმად ემოქმედათ, ერთი პირი ჰქონოდათ და ჩინელებისათვის, რომელნიც გაფაციცებით თვალს გვადევნებდნენ, არ ეჩვენებინათ, რომ მათ შორის შუღლი, იჭვიანობა და მეტოქეობაა გამეფებულიო, ჰკითხულობს გაზეთი. კონსტანტინეპოლშიც თანხმობით არ ვმოქმედებდით, ერთმანეთს მხარი არ დავუჭირეთ და ამის შედეგი ის იყო, რომ ათასგვარი ბოროტ-მოქმედობა, რომელიც კაცობრიობის გრძნობას შეურაცხყოფდა, დღემდის დაუსჯელი რჩება და დაუბოლოვებელ მუქარად გადაექცა მთელ ერთ ხალხსო.

ახალი ამბავი

✦ როგორც შევიტყეთ, 18 კაცს, რომელნიც ტფილისსა და ნავთლუხს შუა ნავთის მილის გაყვანაზე მუშაობენ, საჩივარი შეუტანიათ რკინის გზის გამგეობაში იჯარადარს ტერ-ღუკასოვზედ, რომელსაც იჯარით აქვს აღებული ნავთის მილის გაყვანა. ამ ტერ-ღუკასოვს **მუშებისათვის არ მიუცია** 2,500 **მანეთი.**

✦ ქ. გორში 19 ივნისს, ღამე, ბოროტმოქმედებმა **გასტეხეს** სამების ეკკლესია და წაიღეს ოქროს და ვერცხლის ნივთები: ჯვრები, ბარძიმ-ფეშხუმი, კოვზები და სხვ. წაიღეს აგრეთვე ფული. სულ ორი-ათას მანეთის ზარალი მიაყენეს ეკკლესიას. ბოროტმოქმედნი ჯერ-ჯერობით ვერ უპოვნიათ.

✦ **მარტყოფის წმ. მამა ანტონის მონასტრის გამგეობის გამოძიების თვალ-ყურის გდება** და ზედამხედველობა იკისრა ტფილისის ოლქის სასამართლოს ბრალმდებელმა ბ. სმირნოვმა; ხოლო საქმეს იძიებს სასამართლოს საგანგებო საქმეთა გამომძიებელი ბ. ილიაშენკო. პოლიციის დადგენილებით,

ამ ჟამად დატუსაღებულია ექვსი კაცი, რომელთაგან ერთი მეტეხის ციხეშია დაპატიმრებული. გამოძიებას კიდევ განაგრძობენ, ვიდრე არ შეიტყობენ დაჭერილთა და საქმეში მონაწილეობის მიმღებთა დანაშაულობას.

✦ ახლად დაარსებულ ტომსკის **ტექნოლოგიურ ინსტიტუტში** მიიღებიან უმაღლეს და ქვემოდ ჩამოთვლილ საშუალო სასწავლებლებში სწავლა დამთავრებულნი: გიმნაზიებსა, რეალურ სასწავლებლებსა, საშუალო სამიწად-მოქმედო სასწავლებლებსა (პირველის ხარისხის დიპლომით), კადეტთა კორპუსებისა და სასულიერო სემინარიებში. მიღების დროს უპირატესობა მიეცემათ უმაღლეს სასწავლებელში სწავლა დამთავრებულთ, შემდეგ რუსეთის აზიის იმ მკვიდრთ, რომელთაც საშუალო სასწავლებლების ატესტატები, ან მოწმობანი აქვთ, აგრეთვე რუსეთის აზიის საშუალო სასწავლებლებში სწავლა დამთავრებულთ, თუ პირველთაცა და მეორეთაც მატემათიკასა, ფიზიკასა და რუსულს ენაში ორთა შუა რიცხვით ოთხზე ნაკლები ნიშანი არ ექმნებათ. დანარჩენ კანდიდატთა შორის, თუ თავისუფალი ვაკანსია გამოჩნდა, გაიმართება საკონკურსო ეგზამენები მატემატიკასა, ფიზიკასა და რუსულს ენაში. ამ ინსტიტუტში შემდეგი განყოფილებანია: სამექანიკო, საქიმიო, საინჟენერო—ამშენებელი და სამთო. სწავლის ფასი—50 მანეთი წელიწადში—წინ-და-წინვე უნდა იქმნას შეტანილი.

✦ **საქარხნო საქმეთა საკრებულოს** შემოდგომამდე სხდომები აღარ ექმნება.

✦ ინტელიგენტთა ერთ ჯგუფს გუმბრში განუზრახავს საკვირაო **უფასო სკოლის დაარსება.**

✦ ქალაქის საბჭოს **ხმოსანთა არჩევნები** ბათუმში, როგორც საბჭომ გადასწყვიტა, მოხდება ნოემბრის პირველ ნახევარს.

✦ საუფლისწულო უწყება ჩაქვაში აფართოვებს თურმე **ჩაის პლანტაციებს.** აზრადა აქვთ პლანტაციებს 500 დესეტინა დაუთმონ.

✦ მართლ-მადიდებელ ეკლესიებს, როგორც ვუწყით, ღვთის მსახურების დროს **ღვინო სჭირდებათ ხოლმე.** რადგანაც ბევრგან ძნელია წმინდა ღვინოს შოვნა შარშან უწმ. სინოდის ობერ პროკურორმა ლაპარაკი იძრა ეკკლესიებისათვის საჭირო ღვინის მოპოების საქმის მოწყობაზე. ამ საქმის შემუშავება და ცნობების შეკრება უკისრნია მიწად-მოქმედების სამინისტროს. ცნობების შეკრების შემდეგ მოხდება განსაკუთრებული კრება ამა წლის ნოემბერში მიწად-მოქმედების მინისტრის ამხანაგის თავმჯდომარეობით. ამ კრებაზე დაესწრებიან წარმომადგენელნი სასულიერო უწყებისა, ფინანსთა სამინისტროსი, საუფლისწულო უწყებისა და რუსეთის იმ კუთხეებისა, სადაც უფრო მისდევენ მეღვინოებას.

მიწად-მოქმედების სამინისტრო ატყობინებს რა ამ ამბავს კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების საბჭოს, სთხოვს დანიშნოს სამეურნეო საზოგადოების ერთი წევრი კავკასიის წარმომადგენლად კრებაზე.

✦ **ციგლერის ფირმას,** რომელსაც სპარსეთიდან დიდძალი ხალიჩები გააქვს ევროპაში გასასყიდად, განუზრახავს ამიერ-კავკასიაშიაც გამართოს კანტორები და შეუდგეს ხალიჩების შეძენას. ფირმას განზრახვა აქვს იყოლიოს ინსტრუქტორები, ქიმიკოსები, მღებავნი და მხატვარნი.

✦ მიწად-მოქმედების სამიინსტროს რწმუნებულის განკარგულებით, მომავალ კვირას სოფ. წავკისს გაემგზავრება მიწის გამიჯვნელთა დასი, რომ აღეკრძალოს სოფლელთ მიწების სარწყავად **დაბახანის წყლით სარგებლობა,** რადგანაც ეს წყალი საბოტანიკო ბაღსაც ძლივსა ჰყოფნის თურმე.

✦ სადგურ სამტრედიიდან იტყობინებიან, რომ 20 ივნისს, საღამოს, ვიღაც ბოროტგამზრახველთ **ცეცხლი წაუკიდებიათ** რკინის გზის თეატრისა და როტონდისათვის. იღბალზე, დროზე შეუნიშნავთ ცეცხლი და ადვილად ჩაუქრიათ. როტონდოს შენობა დაზიანებულია, მაგრამ ძალიან არა.

სამტრედიის მიდამოებში ძალიან კარგი მოსავალია სიმინდისა.

✦ რადგანაც ჩითახოვის აბანოები ძალიან ცუდს მდგომარეობაშია სანიტარულის მხრით და ამასთან ძალიან დაძველებულიც, ასე რომ ერთი ნაწილი ჩამონგრეულა სიძველის გამო,—ამისათვის განკარგულება მოახდინეს, **დაიკეტოს ეს აბანოები.**

✦ 19 ივნისს, დიდუბეში, ცხენების საჭენებელ მოედანთან, ჰნახეს მოკლულის კაცის გვამი. მოკლული მეეტლე აღმოჩნდა, ტამბოვის გუბერნიის მცხოვრები აბდულ ვ. ვორგასოვი. პოლიციის მიერ შეკრებილ ცნობებით აღმოჩნდა, რომ ვიღაც ბოროტგანმზრახველნი მოკლულის კაცის ეტლით გამგზავრებულან დუქანში. გერმანელთა ახალშენის მახლობლად, რაღაც მიზეზისა გამო, მგზავრები დუქანში აღარ მისულან და უკან დაბრუნებულან. როგორც ეტყობა, მგზავრები რაღაცაზე გაჯავრებულან და დაურტყავთ მეეტლესათვის თავში მავთულზე მომაგრებული ტყვიის სამ გირვანქიანი ნაჭერი, რომელიც მოკლულ მეეტლეს გვერდით უნახავთ. ექიმებს მხოლოდ ეს ერთი ჭრილობა უნახავთ მეეტლეზე. ჯერ-ჯერობით მკვლელთა კვალისათვის ვერ მიუგნიათ.

✦ ტფილისის ქალაქის საბჭოს მიერ **სამხედრო საკრებულოს წევრად** არჩეულმა თავ. ბებუთოვმა უარი განაცხადა ამ თანამდებობაზედ. იმის მაგიერ წევრად დანიშნეს კანდიდატი გრიქუროვი.

✦ გუშინ, 21 ივნისს, ქალაქის საბჭოს სხდომა იყო დანიშნული, მაგრამ ხმოსნები საკმაოდ არ გამოცხადდნენ და სხდომა არ შესდგა. სულ შვიდი ხმოსანე მოვიდა.

✦ ქალაქის სასწავლებელთა გამგე-კომისიამ დაადგინა, ჩუღურეთის სკოლას დაარქვას **გოგოლის სახელი.**

✦ სამკურნალო გამგეობამ ხელ-ახლა უბრძანა სამაზრო ექიმებს, რომ საქმეების გამო მოგზაურობის დროს დარიგებითა და წამლებით **დახმარება აღმოუჩინონ გლეხებს.** ამისათვის მკურნალებს თან ყუთით წამლები უნდა ჰქონდეს ხოლმე.

✦ თუმცა ვარშამოვის სახლი, რომელიც ამას წინად ავლაბარში დაიწვა, 20,000 მანეთად იყო დაზღვეული ტფილისის საურთიერთო დამზღვევ საზოგადოებაში, მაგრამ ამ საზოგადოების ზედამხედველმა კომიტეტმა გადასწყვიტა, მისცეს ვარშამოვს მხოლოდ 8,700 მანეთი.

✦ მთავრობამ დაამტკიცა ტფილისის საბოტანიკო ბაღის გამგეთა ახალი შტატი. ამ შტატით დირექტორს ექნება წელიწადში 3000 მან., იმის თანაშემწეს 2000 მან., ბოტანიკოსს 2000 მან. და სამეურნეო ნაწილის გამგეს 1500 მან.

✦ გუშინ წინ, 20 ივნისს, დაიჭირეს ერთი კიდევ იმ ბოროტ-გამზრახველთაგანი, რომელნიც საკრედიტო საზოგადოების სადგომში თავს დაეცნენ ვლასოვს. ახლად დაპატიმრებული გვარად იაშვილია. ტფილისის პოლიცმეისტერმა პოლიციელი გაბილაია იაშვილის დაპატიმრებისათვის 10 მან. დაასაჩუქრა.

✦ ტფილისის ქალაქის გამგეობამ განიხილა ტფილისის სასწავლებელთა გამგე-კომისიის მოხსენება იმის შესახებ, რომ დაქირავებულ იქმნეს 1000 მანეთად ავლაბრის მესამე საქალაქო სასწავლებლისათვის მელიქ-ბეგლიაროვის სახლი. გამგეობამ დაამტკიცა კომისიის გარდაწყვეტილება.

✦ 19 ივნისს პოლიციის მე-5 ნაწილში ტფილისის მოქალაქეს პეტრუზ თოპოევს განუცხადებია, რომ ავჭალის ქუჩაზე, დილის 7 საათზე, საქმისთვის მივეჩქარებოდი. წინ ოთხი უცნობი კაცი, რომელთაც მისატყუებლად ფულიანი ქისა დააგდეს: მე ყურადღება არ მივაქციე და გავიარე. მაშინ ბოროტმომქმედნი მომვარდნენ, ძალად უბიდან 60 მან. ამომაცალეს და გაიქცნენო. იმავე დღეს ერთი ბოროტ-გამზრახველთაგანი თოპოევს ბაზარში შეჰხვედრია; უცნობს გამოსდევნებიან და დაუჭერიათ. იგი ქალაქ ახალ-ციხის მცხოვრები აღმოჩნდა, მიკირტიჩ კარაპეტასძე ავეტოვი.

ქუთაისის ახალი ამბები

✦ ქუთაისის საქალაქო სასწავლებელში წელს **დაასრულა 30 მოსწავლემ,** აქედან 2 რუსია, 1 ფრანგი და ორი ბერძენი, დანარჩენი ქართველები არიან.

✦ ერთ-ერთს აქაურს მექარხნეს სამექანიკო სახელოსნოისას ერთიანად გაურეკია მომუშავე შაგირდები-ხელოსნები იმიტომ, რომ მეტად შევიწროებული ჰყოლია თურმე პატრონს ეს ყმაწვილები და ამათაც თავის მდგომარეობის გაუმჯობესობა უთხოვნიათ.

დათხოვნისათანავე პოლიციისათვის უცნობებია, რომ „შაგირდები ამბუნტნენო“ და ზოგი მათგანი კიდევაც დაუსახელებია. პოლიციას ეს საქმე გამოუძიებია და დარწმუნებულა, რომ იმ სახელოსნოს შაგირდებს არავითარი „ბუნტი“ არ ბრალდება, პირიქით, სახელოსნოს პატრონის მხრით დიდი უსამართლობა დაუმტკიცებია.

ამის გამო ქუთაისში ჩამოვიდა საქარხნო ინსპექტორი და საქმის გამოკვლევას შეუდგა.

✦ ქალაქის გამგეობამ თავის საკუთარ ტყეში, სადღრიაზე, დაამზადა 350-მდე საჟენი შეშა და ამ თვის 17-დან შეუდგა კიდეც გაყიდვას, მაგრამ წელს ისეთი ფასები დაუნიშნავს, არა გვგონია, ბევრი გამოჩნდეს მსურველი ამ ფასებში აიღოს შეშა. ჩვენ მოგახსენებთ შეუძლო მოქალაქის ხელ-მოკლეობაზე: ღარიბმა მოქალაქემ როგორ შესძლოს თექვსმეტი მანეთის გადახდა, რადგან ამ ფასში დაუჯდება იმას შინ მოტანილი საჟენი შეშა სადღრიის ტყისა. ამასთანავე ქალაქის გამგეობა ღარიბ კაცს სიღარიბის მოწმობასა სთხოვს, უამისოდ შეშას ვერ მიიღებენ. განა გამგეობას თვითონ არ შეუძლია თავის აგენტების შემწეობით გამოიკვლიოს და დარწმუნდეს, რომ ესა თუ ის მთხოვნელი შეშისა მართლა ღარიბია? რა საჭიროა სიღარიბის მოწმობის მოთხოვა, ან ვისგან უნდა აიღოს ეს მოწმობა ღარიბმა, თუ არა პოლიციისაგან და, ჩვენ გვგონია, ქალაქის გამგეობას უფრო დაბეჯითებით შეუძლია სიღარიბე დაამოწმოს შეშის მთხოვნელისა.

რამ გამოიწვია შეშაზე ფასის აწევა, განსაკუთრებით ღარიბთათვის — ჩვენ არ ვიცით, მხოლოდ ის-კი მართალია, რომ წინედ ეს შეშა შვიდ-რვა მანეთს ზევით არ ასულა და ამ ფასებში, რა თქმა უნდა, გაცილებით უფრო ადვილი იყო ღარიბისათვის შეშის შეძენა, ვიდრე წრევანდელს ფასებში.

კარგს იზამდა ქალაქის გამგეობა, რომ ღარიბებისათვის ისევ ძველ ფასებში გაეყიდა შეშა, თორემ 12 მანეთის მიმცემი ძრიელ ცოტა გამოჩნდება. ამას გარდა, საჭიროა იმის თვალყურის დევნა, რომ ღარიბზე გაცემული შეშა მართლა ღარიბს მოხვდეს ხელში, თორემ ადვილად შესაძლებელია ექსპლოატაცია ქალაქის კეთილ-განზრახულებისა. მოგეხსენებათ, სიღარიბე ადვილად ემორჩილება ყოველ-გვარ ექსპლოატაციას...

რუსეთის ქრონიკა

✦ მკითხველებმა უკვე იციან, რომ ის ზარალი, რომელიც ხარკოვისა და პოლტავის გუბერნიებში არეულობის დროს მემამულეებს მიაყენეს, უმაღლესის ბრძანებით გადახდებათ გლეხებს, რომელთაც ამ არეულობაში მონაწილეობა მიიღეს. ეხლა „პრავ. ვესტ.“-ში დაბეჭდილია ის წესი, რა წესითაც გლეხებს ზარალი უნდა გადაახდევინონ. პოლტავასა და ხარკოვში შესდგება დროებითი კომისიები. თითო კომისიის წევრებად არიან: გუბერნატორი, გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლი, ვიცე-გუბერნატორი, სახაზინო პალატის გამგე, საგუბერნიო საკრებულოს ერთი წევრი, მაზრის თავად-აზნაურთა წინამძღოლნი და იმ მაზრებისა და ნაწილების გადასახადთა ინსპექტორნი და უფროსნი, სადაც არეულობანი მოხდა. დაზარალებულთ, ამ წესების დაბეჭვდიდან ორის კვირის განმავლობაში, უნდა წარუდგინონ გუბერნატორებს თხოვნები და აღნიშნონ თავიანთ ზარალის რაოდენობა. გამოკვლევა თხოვნებისა და ზარალის დაფასება მიენდო მაზრის თავად-აზნაურთა წინამძღოლებს. ამათი ანგარიში კომისიამ უნდა განიხილოს, შეავსოს, დაამტკიცოს და შემდეგ შინაგან საქმეთა სამინისტროს წარუდგინოს. როდესაც ზარალის რაოდენობა გამოკვლეული იქმნება, კომისიამ იგი უნდა გაანაწილოს იმ სოფლის საზოგადოებასა და სოფლებს შორის, რომლის მცხოვრებთაც არეულობაში მონაწილეობა მიიღეს. კომისიას მხედველობაში უნდა ჰქონდეს არეულობაში მონაწილეობის მიმღებთა რიცხვი და იმათ მიერ მოხდენილ ზარალის რაოდენობა. ამასთან მხედველობაში უნდა იქმნას მიღებული მარტო ის ზარალი კი არა, რომელიც დააფასა კომისიამ, არამედ მთელი ის დანაკლისი, რომელიც არეულობის დროს გუბერნიებს მიაყენეს. კომისია ამასთან წინდაწინვე გადასწყვეტს, რამდენ წლის განმავლობაში უნდა შეიტანონ ზარალი ხაზინაში სოფლის საზოგადოებებმა და სოფლებმა და გამოარკვევს რაოდენობას წლიურ გადასახადისას. სოფლებზე გაწერილი ეს ახალი გადასახადი სოფლის ყრილობებმა თავიანთ მცხოვრებთა შორის უნდა გაანაწილონ.

✦ გზათა სამინისტრო შეუდგომია ახალი სავალდებულო სანიტარო წესების გამოცემას. ეს წესები შეეხება მუშების მოვლა-შენახვას რკინის გზის გაყვანის დროს.

პრესსა

11 ივნისს 1892 წელს, როგორც მკითხველებმა იციან, შემოღებულ იქმნა ახალი საქალაქო დებულება, რომელმაც თვალსაჩინოდ შეზღუდა თვით-მართველობის ფარგალი. ამასთანავე ახალმა დებულებამ, მაღალის ცენზის დაწესების გამო, შეამცირა იმ პირთა რიცხვი, რომელთაც შეუძლიანთ მონაწილეობა მიიღონ ქალაქის მართვა-გამგეობის საქმეში. გასულ 11 ივნისს შესრულდა სწორედ 10 წელიწადი, რაც ქალაქის თვით-მართველობა მოეწყო 1892 წლის დებულების თანახმად. ამით სარგებლობენ სატახტო ქალაქებისა და პროვინციის გაზეთები და ჰბეჭდვენ ვრცელ წერილებს იმის შესახებ, თუ რა შედეგი მოჰყვა ქალაქის თვით-მართველობის რეფორმას. როგორც მოსალოდნელი იყო, გაზეთები სანუგეშოს არას ამბობენ; თითქმის ყველა იმ აზრისაა, რომ რუსეთის ქალაქებმა ამ 10 წლის განმავლობაში დაიქვეითეს, რომ ამ დაქვეითების მთავარი მიზეზი 1892 წლის საქალაქო დებულება არისო. მრავალ წერილებიდან ჩვენ მოვიყვანთ გაზეთ „დონსკაია რეჩ“-ის მოსაზრებათ, რომელნიც ძალიან ემზგავსებიან სხვა გაზეთების აზრსაც. ხსენებული გაზეთი სწერს:

> ყველაფერი, რაცა გვაქვს ქალაქებში ამ ჟამად ცოტად თუ ბევრად რიგიანად მოწყობილი და რაც მოგვაგონებს კულტურულს ცხოვრებას, ყველაფერი იმ უკეთეს დროს არის გაკეთებული, როდესაც ქალაქის მართვა-გამგეობის საქმეში მონაწილეობას იღებდა ქალაქის მცხოვრებთა უფრო მეტი ნაწილი და როდესაც თვით-მართველობა უფრო ფართო ფარგალში იყო, უფრო თავისუფლად მოქმედებდა. ახლანდელი საქალაქო საბჭოები-კი (რეფორმის შემდეგ) სრულებით არ იჩენენ სიცოცხლეს, მათ ნაკლებად ესმისთ ქალაქის ნამდვილი ინტერესები; მათი მოღვაწეობის შედეგია: საკონცესიოდ გაცემული საეჭვო საქმეები და, ვინ იცის, რისთვის აღებული—მრავალ მილიონების სესხი. სამაგიეროდ ამ 10 წლის განმავლობაში მძლავრად იჩინა თავი ხმოსნების და ამომრჩევლების ინდიფერენტიზმმა საქალაქო საქმეებისადმი; ამ 10 წლის განმავლობაში მეტად გაჭირდა რიგიან კანდიდატების მოპოვება საქალაქო თვით-მართველობის თანამდებობებზე; ქალაქის მცხოვრებნიც ირონიულად ან მტრულად უყურებდნენ და უყურებენ ახლანდელ საქალაქო მოღვაწეთ. თუ 1870 წლის საქალაქო დებულება არ იყო საკმაოდ რიგიანი და სრული, ახლანდელი ხომ სულ აღარ ვარგა; წინანდელ დებულებას ის უპირატესობა და ძვირფასი უპირატესობაც ჰქონდა, რომ ცხოვრებასთან ახლო იდგა და ენერგიულ ნიჭიერ მოღვაწეთ იზიდავდა სამუშაოდ. 1892 წლის საქალაქო დებულება დაშორდა თვით-მართველობის პრინციპებს და კიდევ უფრო ცხოვრებას; საქალაქო მეურნეობა დებულებამ ჩააბარა ქალაქის მცხოვრებთა უმცირესობას, რომელსაც არაფრად აინტერესებს უმრავლესობის, ხალხის საქმე-საჭიროება.

დასასრულ გაზეთი იხსენიებს, რომ მოკლე ხანში მთავრობა, რომელიც თვით დარწმუნდა აწინდელ საქალაქო დებულების უვარგისობაში, გადასინჯავს ამ დებულებას და უეჭველად მხედველობაში მიიღებს 1870 და 1892 წლების დებულებათა შედეგებსო და ისე შეცვლის კანონს, რომ საქალაქო თვით-მართველობათ კვლავ მიანიჭებს მეტ თავისუფლებასა და მეტ რიცხვსაც მიანიჭებს არჩევნების უფლებასაო.

დაბა-სოფლები

ს. მათხოჯი (ქუთაისის მაზრა). წელს კარგი მოსავლის იმედი გვაქვს. თუმცა მცირედი გვალვაც დაგვიდგა, მაგრამ დიდი ვნება არ მოუტანია ნათესისათვის. თუ ივლის-აგვისტოს გვალვამ და ქარებმა არ შეგვაწუხა, სიმინდი ბარაქიანად იქმნება. ვაზმა კარგა ხანია პირი იბრუნა ჩვენგან; მაგრამ რაც შეგვრჩა, წლეულს კარგ მოსავალს გვპირდება. ჩვენში გავრცელებულია უმთავრესად ორ-გვარი ვაზი: „სვანური“ (თეთრი) და ადესა. „ადესის“ ღვინო თუმცა ვერ არის ნაქები, მაგრამ, ხომ მოგეხსენებათ, „სულ არარაობას, ცალ-უღელა ხარი სჯობიაო“. ვენახების წამლობა ჩვენში ძალიანაა გავრცელებული.

უმთავრესს შემოსავალს გლეხისას ჩვენში აბრეშუმი შეადგენს. ბევრი მოსახლე მხოლოდ აბრე-

შუმის შემოსავლით ისტუმრებს გადასახადებს. ამავე შემოსავლით იცვამს ტანისამოსს და სხვა ხარჯს უძღვებს. იშვიათია ისეთი მოსახლე, რომელსაც აბრეშუმი ყოველ წელს 15-დან 30 მანეთამდე არ აძლევდეს. ბევრი ას მანეთსაც იღებს. რადგანაც წელს ჭია ზომიერი იყო, აბრეშუმმაც კარგად იხეირა. პარკი იყიდებოდა აქვე კუხის ამხანაგობის განყოფილებაში. ფუთი ავიდა 12—14,8 მანეთამდის. სამწუხაროდ, არ შემიძლიან აქვე არ აღვნიშნო პარკის მყიდველთა ცოტა არა სასურველი საქციელი, რამაც გვარიანი ბასი გამოიწვია სოფლელებში. აი საქმე რა არის: პარკის ყიდვის დაწყებისთანავე მყიდველებმა სოფლელებს აღუთქვეს, რომ იმ მაზანდაზე ვყიდით პარკს, რაც ხანში იქნებაო; მაგრამ სიტყვა არ შეასრულეს და გირვანქა პარკს ერთ ორ კაპეიკ ნაკლებად უღულობდნენ (ხანის მაზანდასთან შედარებით).

დასასრულ საჭიროდ ვრაცხ ორიოდე სიტყვა ვსთქვა სამრევლო სკოლაზედაც, რომელიც ვაივაგლახით დაარსდა 1893 წელს. შარშან სოფლის მღვდელმა მამა ნიკიფორე ბარაბაძემ გაჰყიდა დამშალი სკოლის შენობა და შეუდგა ქვის შენობის აგებას, რაიცა ზოგი მთავრობისა, ზოგი თავის ჯიბისა და ზოგიც სოფლის დახმარებით ძლივს მოათავა ამ გაზაფხულზე.

ვ. მალაქიაშვილი

ბათუმის ქალაქის საბჭო

ივნისის 17-ს სხდომა

ქალაქის თავის პეტერბურგში მყოფობის გამო, ამ კრებას თავმჯდომარეობდა იმის მოადგილე ბ-ნი გრ. ვოლსკი. განსახილველად დანიშნული იყო 18 საქმე. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ბ-ნი პალმი, რომელიც სხვას უკიჟინებს გულ-გრილობას ქალაქის საქმეებში, ეს მესამე კრებაა (გრ. ვოლსკის თავმჯდომარეობით), რაც არ დასწრებია. არსადა სჩანს აგრეთვე გამგეობის წევრი ბ-ნი ი. ა. ივანოვი, რომელსაც, როგორც ამბობენ, ორშაბათობით აციებს თურმე.

პირველად თავმჯდომარემ კრებას მოახსენა, რომ დეკემბრის 2-ს დღევანდელ საბჭოს უთავდება ოთხის წლის სამსახურის ვადა და ამიტომ საჭიროა ახალი არჩევნებიო. გამგეობის აზრით, არჩევნები უნდა დანიშნულ იქმნას ნოემბრის შუა რიცხვებისათვის. გამგეობა იმ აზრისაა, რომ არჩევანი ერთად მოხდეს და არა ცალ-ცალკე უბნებში, რადგანაც ბათუმი პატარა ქალაქია და ამომრჩეველთა რიცხვიც მცირეა. საბჭომ მიიღო გამგეობის ეს წინადადება. გამგეობა, როგორც თავმჯდომარემ განაცხადა, უკვე შესდგომია სიების შედგენასა და სხვა საქმეების მომზადებას. ბევრი ნიშანია იმისა, რომ წრევანდელი არჩევნები უფრო მშვიდობიანი და წინ-დახედული იქნება, ვიდრე წინანდელი.

შემდეგ ამისა გამგეობამ ითხოვა საბჭოსაგან 1800 მან. დახარჯვის ნება-რთვა გიმნაზიის ძველ შენობის გადასაკეთებლად; ამ შენობაში უნდა გადავიდეს საკუთარ შენობის აგებამდე საქალებო გიმნაზია. ამ საგანმა ცხარე ბაასი გამოიწვია. ხმოსნებს ეოცათ წარმოდგენილი ხარჯთ-აღრიცხვა და ამიტომ კრებამ დაავალა გამგეობას ახალის გეგმის შედგენა და სამუშაოს იჯარით გაცემა.

ამის შემდეგ დიდი ლაპარაკი გამოიწვია იმ ცნობამ, რომელიც მოითხოვა ხმ. ლევ. მჭედლიშვილმა ქალაქის აგენტებად ყოფილ ბ-ნთ ს. სურგულაძისა და ზ. დეკანოზიშვილის შესახებ. ვიღაც სალაძემ, მელვინემ, ბრალი დასდო ზემოხსენებულ პირთ, რომ რაღაც საქმის გასაკეთებლად ქრთამი გამომართვეს, თითომ ათ-ათი მანეთიო, და მომატყუესო. ეს საქმე ბრალმდებულთან იყო გადაცემული. გუბერნატორმა მოიწერა, რომ დასახელებული აგენტები სამსახურიდან გადააყენეთო. გადააყენეს და მათ ადგილზე სხვები დანიშნეს. გამოძიებისა და ჩხრეკის შემდეგ, ბრალმდებელმა საქმე მოსპო, რადგანაც ბრალდება უსაფუძვლოდ იცნო. გადაყენებულმა აგენტებმა ხელ-ახლა ითხოვეს თავიანთი ადგილები; გამგეობამ უარი უთხრა და წლის ჯამაგირები გადაუწყვიტა მისცემოდათ. დღეს ხმ. ლევ. მჭედლიშვილმა და სხვებმა გამგეობას გამოუცხადეს, რომ იგი უკანონოდ ექცევა აგენტებს. საჭიროა, იმათის აზრით, ამ „გადაყენებულთა“ და არა „დათხოვნილთათვის“ ადგილების დაბრუნება.

ეს საქმე საბოლოოდ არ გადასწყდა. საბჭოს კვლევაც ექნება ამაზე, ლაპარაკი და, უეჭველია, ცხარე კამათსაც გამოიწვევს.

ბ ნ ფ. გოგიჩაიშვილის წიგნის გამო

Das Gewerbe in Georgien (*Արհեստ Վրաստանում*), von Dr. Philip. Gogitchayshvili Tübingen, 1901. ბიბლიოგრაფიული წერილი ბ. იშხანიანისა. იხ. სომხური ჟურნალი „მურჭი“ 1902 წ., მარტისა, № 3. თარგმნილი სომხურიდან კლდიას მიერ.

ეს სათაური აქვს ქართველის ბ. გოგიჩაიშვილის სადოქტორო შრომას, რომელიც წარუდგენია ლეიპციგის უნივერსიტეტის პოლიტიკურის ეკონომიის ცნობილის პროფესორის ბიუხერისთვის. იმავე პროფესორთან უმუშავნია აგრეთვე ბ. ს. თარაიანს და წარუდგენია „Das Gewerbe bei den Armeniern“ (*արհեստը հայերի մոտ*) სადოქტორო დისერტაცია.

ვიდრე იმ თხზულების შინაარსსა და სამეცნიერო ღირსებას შევეხებოდეთ, საჭიროდ ვთვლით ცოტა ხანს შევდგეთ შესავალსა და თვითონ თხზულებაში ქართველის ავტორის მიერ გამოთქმულ რამდენსამე აზრზე.

საქართველოს აწინდელ შეგნებულ ძალთა და ჟურნალ გაზეთების თაობაზე აზრის მქონელი ადამიანი, შესავალის ორის გვერდის წაკითხვის შემდგომაც ადვილად გამოიცნობს ავტორის ფერსა, რომელიც ქართველთა ინტელიგენციის ერთ ნაწილსა აქვს კავკასიის სომეხთა მიმართ. მართლადაც, ფიქრი არ გაუცრუვდება მკითხველსა. ცოტაც თუ ჩაჰყვა, უფრო ცხადად შენიშნავს გულისწყრომით სავსე სიძულილსა, რომელსაც დაუზოგველად ანთხევს დოქტორი გოგიჩაიშვილი სომხების თავსა.

უცილობლად ცხადი ჭეშმარიტებაა, რომ ყოველი სამეცნიერო თემა სრულიად შორს უნდა იყვეს ამოჩემებულ ტენდენციასა, წინასწარ განზრახვაზე და მეცნიერებრივის მიუკერძველობით შეუდგეს საძიებელ საგანსა. ქართველი ავტორი კი გამსჭვალულია ქართველთა უზომო მეგობრობით, ხოლო სომეხთა მიმართ მტრობითა.

ქართველ ავტორს შესავალში ჩამოუთვლია ყოველი სახელი, რასაც კი საქართველოს ეძახიან გარემო ტომნი და ევროპელნი. ქართველები თავიანთ ქვეყანას უწოდებენ საქართველოს, გერმანელები Georgien, ფრანგები Géorgie, ინგლისელები Georgia, სპარსელები და თათრები გურჯისტანს, თურქები და ქურთები გურჯ. ბოლოსაც სომხები, მაგრამ უთუოდ საჭიროდ არ მიაჩნია დოქტორ გოგიჩაიშვილს დაარქვას „ვრასტან“, რომელსაც სომხები ეძახიან.

შემდეგ ავტორს მოკლედ აუწერია საქართველოს ძველი ისტორიული გეოგრაფიული და აწინდელი მოქალაქობრივი ნაწილები, სამზღვრები. აუწერია საქართველოს ბუნება ალტაცებულის ფერადებით, თვით-ნამდვილი „სასუფეველი“ უწოდებია. მაგრამ უმეტესად თავი მოსწონს, როცა უსულო ბუნებიდან გადადის ქართველთა ხალხის საისტორიოს სათევრის განსაზღვრის საქმეზე. „წინა აზიის კულტუროვან ტომთა შორის ქართველთა ერს ყოვლად მნიშვნელოვანი ადგილი უჭერია. თუმცა ჰქონდა მკვიდრთა უმნიშვნელო რაოდენობა, რომელიც მთლად ისტორიულ ნამყოში არ აღემატებოდა ერთ მილიონსა, მაინც საუკუნეთა განმავლობაში, მაგ მხნედ მეომარმა ხალხმა სრულიად კავკასია დაიპყრო და თავის ბატონობას დაუმორჩილა, უმკლავდებოდა რა ოთხკუთხივ მომუქრე ისეთ თავზარდამცემ ძალთა, როგორნიც იყვნენ სპარსნი, არაბნი, თურქნი და თათარნიო, ამბობს ავტორი.

მაგრამ ყველაზე უფრო საინტერესოა სომეხთა მიმართ მისი წყევა-კრულვა. წიგნის უკანასკნელ თავში, როცა საოჯახო ყოველი სამუშევარის, მრეწველობისთვის სათქმელს ასრულებს, ავტორი გადადის კაპიტალისტურ წარმოებაზე (Kapitalistiche production). XIX საუკუნის დამდეგს და განსაკუთრებით მეორე ნახევარში, ქართველთა ხალხისა უფრო ქალაქებში გამოდის თავისი მრეწველობის გარემოზღუდულ სამზღვრებიდან ვაჭრობის ვრცელ და ცხოველ ასპარეზზე, ხელს ჰკიდებს დიდ-დიდ საქმეებსა, სადაც ბუნებრივად საქმე უნდა ჰქონოდა არა თუ პატარა და უმეტეს წილად იმავე ტომის საზოგადოებასთან, არამედ თავისი ეკონომიის მიმართლობით უნდა შეხლოდა გარეშემო სხვა-და-სხვა ხალხებსა. ამ გარეშემო ხალხთა შორის მარტო სომეხია, რომელიც დოქტორ გოგიჩაიშვილის აზრით, ყოვლად მავნებელ ელემენტად ასჩენია ქართველთა ხალხის თვით ყოფითი განვითარებისა და ეკონომიურის კეთილმდგომარეობის საქმესა. მარტო სომეხია, რომ ისეთ შხამიან ეკალსავით ეჩხირება თვალში ავტორსა და რომლისაკენაც მოუმართავს თავისი ისრები. თავისი ნათქვამის დასამოწმებლად იგი იშველიებს აგრეთვე სხვა-და-სხვა უაზრო ცნობასა, ერთის მგზავრის ნაწერში (Georgien Natur, Sitten und Bewohner A. Zeist) ამოკრეფილსა: სომხები მოდიან თავიანთ სამშობლოდან, როგორც გადმოხვეწილები, სწერს დოქტორი გოგიჩაიშვილი, ლეისტის ნაწერის გამომკრეფელი, საქართველოში, განსაკუთრებით ტფილისში და მის გარემო მაზრებსა და სოფლებში, სადაც გულითად მასპინძლობას უწევენ ადგილობრივნი მკვიდრნი. ცოტა ხნის შემდგომ, სომხები ბოროტად ხმარობენ მათდამი მიმართულ მეგობრობასა და საქართველოში ასრულებენ ურიების სათევარსაო... სომეხი იძულებულია ხელოსნობით და ვაჭრობით პური სჭამოს, რადგანაც ეუცხოვება მიწის მუშაობა და მისი სიმდიდრე. იმ გარემოების წყალობით, რომ სომხები საუკუნეთა განმავლობაში ემორჩილებოდნენ სპარსთა და ოსმალოთა მთავრობას, იმათ დახშვიათ გულ-წრფელობისა და კეთილ-შობილების გრძნობა და ღრმად დაუსადგურებია მათში ეშმაკობას, სიყალბეს და გაუმაძღრობის გრძნობას. მაგრამ ეს თვისებანი სრულიად არ ეკუთვნიან სამშობლოს—დაკარგულ ხალხსა,—რომელიც თავის უიღბლო არსებობას იცავს ამა თუ იმ ქვეყნის წიაღში. ეს არის მიზეზი, რომ გულ-დამჯერე, გულ-კეთილი და სტუმრის მოყვარე ხალხი, როგორც ქართველები არიან, მეტის-მეტად ზარალობენ სომხების მეზობლობისაგან.“ გერმანელის ამ დანაკვირვებს ქართველი ავტორი დასძენს თავისი მხრით შემდეგსა:

„სომხების საქართველოში მოვახშეობას და უწყალო ექსპლოატატორობას დიდად ხელს უწყობს ის გარემოება, რომ ისინი ქრისტიანები არიან. ამის გამო მალე ეჩვევიან ერთმანეთს და მეგობრული განწყობილება იბადება ორ ტომთა შორის. სომხები უახლოვდებიან ქართველს თუ ქალაქად და თუ სოფლად და შემდგომ მისი გულ-დამჯერობის წყალობით მიესწრაფიან თავიანთი ანგარებითის მიზნის განსახორციელებლად. სხვათა შორის, შესანიშნავია და აშკარა ჭეშმარიტებაც არის, რომ სომხები აღმოსავლეთის ქვეყნებში ცნობილ არიან, როგორც მოვახშენიო...“

ამ მოწმობიდან ცხადად სჩანს, თუ გერმანელი მგზავრი და ქართველი ავტორი რა ბრმა თვალით უყურებენ სინამდვილეს.

გადავიდეთ ეხლა წიგნის შინაარსზე. (ამ მუხლში იშხანიანი ადარებს განხილვად თხზულებას თარაიანის იმგვარსავე ნაწარმოებსა და ამბობს, თარაიანის თხზულება გაცილებით დაბლა დგას, თუმცა მასალა, ნამეტურ საისტორიო ნაწილისათვის, მრავლად ჰქონდაო. მერე პირ-და-პირ წიგნის შინაარსი არის მოთხრობილი და სულ ბოლოს იშხანიანი ამბობს შემდეგსა:

„როგორც მკითხველი ჰხედავს, ბ. გოგიჩაიშვილის დისერტაცია სერიოზული და სასარგებლო ნაწარმოებია, მხოლოდ აფსუს, რომ უადგილო სახით სამეცნიერო თხზულებაში საერო ვიწრო ანგარიშები შეურევიაო“.

ახტალის სამკურნალო ტალახი

ქ. სიღნაღიდან 20 ვერსის მანძილზე, სოფელ გურჯაანის განაპირ-უბანში, გზა-ტკეცილის მარჯვნივ, არის რამდენიმე ორმო, ტალახით სავსე. სულ იქ შვიდი-რვა ორმოა. ტალახი შუა-გულში მალი-მალ იბუშტება და ყურყუმელავდება ისე, როგორც ადუღებული წყალი ქვაბში. ბუყბუყის ხმა კარგა დიდ მანძილზე ისმის. ტალახს რაღაც მძიმე სუნი უდის და ცივია. სუნი უფრო ნავთის სუნს მოაგავს; ორმოები რგვალია, ამათგან ერთი უდიდესი მოზრდილ კალოს ოდენაა. ორმოების ახლოს ნავთიც გამოჟონავს, გამოჩუხჩუხებს აგრეთვე წმინდა წყალის ნაკადული.

როგორც ხალხში დარჩენილი თქმულება მოგვითხრობს, უწინ აქ კალოები ყოფილა, სხვათა შორის, ერთის მღვდლის კალოც. მღვდელი კალოს ლეწვამ გაიტაცა და ფერიცვალობის დღესასწაული ისე გადაავიწყდა, რომ ამ დღესაც ჩაუგდო კალო. ამავე დღეს ჩამოიარა ღმერთმა მოხუცის კაცის სახით და ჰკითხა მღვდელს: „დღეს რომ უქმეა, კალოს რათა ლეწავო.“ მღვდელმა დაცინვით მიუგო, ჩვენმა ქალებმა დილასვე იცვალეს ფერიო.“ გარისხდა ღმერთი და სულ ნაცარ-ტუტას მოაცვევინა მისი და ახლო-მახლო კალოები. მხოლოდ კალოზედ მყოფ მღვდლის ქალს უთხრა, აიყვანე ყმაწვილი, ჩქარა წადი შინ და უკან არ მოიხედო, ვიდრე სახლში არ ახვიდეო. ქალმა აკვნით ყმაწვილი მხარზედ შეიდგა და გაემგზავრა სახლში. გაიარა სულ ერთი ვერსის მანძილი, გულმა ველარ მოუთმინა და უკან მოიხედა. მოიხედა თუ არა, ქალი აკვნით და ყმაწვილით გაჰქვავდა. ამბობენ, ეს გაქვავებული იქვე არის, იმას აშკარად ეტყობა სახეცა და აკვანიცაო, თუმცა ჩვენ ვერაფერი ამისთანა ვერა შევნიშნეთ-რა იმ ადგილას. ამ ალაგზე ძველი ნაეკლესიარია.

ასე მოგვითხრობს ახტალის ამბავს ხალხი, და ქიზიყელებმა ჩხუბის დროს ხშირად იციან ხოლმე ამნაირი წყევლა: თქვენს ეზო-კარშიაც ამოსულა ახტალაო, რაც აქამდის სალანძღავად და საშიშოდ მიაჩნდა ხალხს. შეიძლება დღეის შემდეგ სანატრელად და სალოცავად გადაექცეს. ძველ დროიდანვე შენიშნული ჰქონდა ხალხს, რომ ახტალის ტალახი ზოგიერთ სატკივარს საკვირვლად ჰკურნავს. ახტალა მოხსენებული აქვს ვახუშტისაც თავის ისტორიაში. უწინ ამ ადგილას ჯარი მდგარა და ახტალის ტალახის სამკურნალო თვისება ექიმებსაც აღუარებიათ, რის გამო მუწუკიან, ქარებიან და ნერვებით აშლილ ავადმყოფებს აქ ბანაობას უნიშნავდნენ თურმე. აქედან ჯარი აჰყარეს, ექიმებიც ჯარს გაჰყვნენ და ახტალის ტალახის მნიშვნელობაც მიყრუვდა. სიღნაღის მაზრაში გლეხობა აფასებდა მხოლოდ ახტალის თვისებას და თავს არ ანებებდა—ზაფხულობით აქ სხვა-და-სხვა სოფლიდან მოდის ხალხი საბანაოდ, აქვე აბანავებდნენ და აბანავებენ წელ-წამხდარ ცხენებს, ქეციანს და გამხდარ საქონელს. ამ უკანასკნელ დროს სხვა-და-სხვა მაზრებიდანაც მოდიან ზაფხულობით საბანაოთ. რამდენისამე წლის წინად ახტალაზე შევხვდი ტფილისიდან მოსულ ქარებით დაავადმყოფებულ ფერშალს, რომელსაც ტფილისში თითქმის ყველა ექიმები სწამლობდნენ. ფერშალმა მითხრა, ძალიან მარგო და კვლავაც უნდა მოვიდეო. ესევე მითხრა ერთმა ჩემმა მეგობარმა მასწავლებელმა, რომელიც დერბენდიდან მოვიდა აქ და ქარებით იყო ავად. სხვაც ბევრი განკურნებულა ახტალის წყლებით.

უბედურება ის არის, რომ არ მოიპოვება აქ არც თავშესაფარი და არც სურსათი. თვით ორმოების უსუფთაობა და მოუწყობლობაც ბევრს აფრთხობს. ეს ადგილი ეკუთვნის ანდრონიკაანთ გვარეულობას და დღემდე ერთმანეთის მიხედვით არავინ სცდილობდა იმის მოწესრიგებასა და ყურის გდებას. ახლა კი, როგორც სარწმუნო წყაროდან გავიგეთ, ახტალის ტალახები იჯარით აულია ოცდა ოთხი წლით პ. გ—ს. მოიჯარადრე აპირებს ააშენოს ფარდულები, გამართოს სასურსათე, საჩაიე და საერთო დარბაზი. ჰფიქრობს თვით ტალახის ორმოებსაც გადაადგას ფარდულები, გასწმინდოს უსუფთაობისაგან და დაიცვას საქონლის უწმინდურებისაგან. საქონლის საბანაოდ სტოვებს მხოლოდ ერთ ორმოს. ამასთან აპირებს იყოლიოს ალაგობრივ მცოდნე და გამოცდილი ექიმი, რომ მან დახმარება აღმოუჩინოს აქ მოსულ ავადმყოფთ. აპირობს ხელოვნურ აუზების გამართვას და მოწყობას იმ რიგათ, რომ ექიმის რჩევით, შეიძლებოდეს საჭიროების-და-გვარად ტალახის გათბობა. დღეს ტალახი ცივია და ბევრი ვერ გაუძლებს ბანაობას.

ორმოების მოწყობას და მოწესრიგებას დიდი მნიშვნელობა ექმნება. რაკი რიგიანად მოეწყობა საქმე, ხალხიც ბევრი მოვა სამკურნალოდ. იმედია, ბ-ნ პ. გ—ს ამ საქმეში სოფლელნი დაეხმარებიან.

შორეული

წერილი რედაქციის მიმართ

I

„ცნობის ფურცლის“ № 1834-ში დაბეჭდილი წერილი „ქუთაისის სათავად-აზნაურო სკოლის საკუთარი სადგომის აშენების შესახებ, რომელშიაც სხვათა შორის ვკითხულობთ ბ. გ. ახ-

ვლდიანის შემდეგ წინადადებას: „მე მოვიწოდებ ყველა ქუთაისის გუბერნიის შვილებს, განურჩევლად წოდებისა და განათლებისა, რომელნიც სხვა და სხვა ქალაქებში სამსახურში არიან, და ვსთხოვ ამ წლიდან დაწყებული ყოველ წლიურად, სანამ ქუთაისის სკოლის შენობა დამთავრდებოდეს, წლიური ჯამაგირიდან გადავდვათ ერთი პროცენტი ($1^0/_0$) ქუთაისის კომიტეტის სასარგებლოდ, რათა ამითი ცოტათი მაინც შევუმსუბუქოთ კომიტეტს ამ მძიმე საქმის დამთავრება და ამითი გავამხნევოთ და წავაქეზოთ იგი ამ მეტად მძიმე შრომაზეთ“.

დიდის სიხარულით ვეგებებით ასეთ სიმპატიურ წინადადებას და თანახმა ვართ როგორც მე, ისე შტაბს-კაპიტანი დ. ართმელაძე, პოდპორუჩიკი ს. წერეთელი და პოდპორუჩიკი გ. ჩხოტუა, გადავდვათ ამ სასიკეთო საქმისათვის, თითო ($1^0/_0$) პროცენტი ჩვენის წლიური ჯამაგირისა იმ დროიდან, რა დროიდანაც კომიტეტი შეუდგება ხსენებულ შენობის აგებას.

ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ არც ერთი ქუთაისის გუბერნიის—ცოტად, თუ ბევრად განვითარებული მკვიდრი, რომელიც კი თანაუგრძნობს ჩვენში სწავლა-განათლების საქმეს, არ აუხვევს გვერდს ასეთ სიმპატიურ მოწოდებას და თავის წვლილს ასეთ სასიკეთო საქმისათვის დიდის სიამოვნებით გამოიღებს.

ც. ართმელაძე

II

„მწყემსი“-ს*) 6 №-ში წავიკითხე მღვდელის ხატიაშვილის წერილი. იქ, სხვათა შორის, სწერია, რომ ვითომც ის, რომელსაც პასუხს უწერს მ. ხატიაშვილი, გამგებლობდა სამს მონასტერს: ალავერდს, შუამთას და თეთრ გიორგის. საქმე იმაშია, რომ ეს ნათქვამია იმ კილოთი, რომელიც ჩირქსა სცხებს არა მარტო ნამდვილ გამგებელს იმ ტაძრებისას, არამედ გამგებელის ხელქვეითთაც.

არ ვიცი, რას ემართლება მ. ხატიაშვილი ხსენებულ ტაძრების ძმათა, ან მათს წინამძღვარს, აწ განსვენებულს, ეპისკოპოზს ბესარიონს! მიკვირს, ამისთანა შეურაცხებამ განსვენებულის ეპისკოპოსის ბესარიონისამ და მის საწინამძღვრო ძმათა როგორ გაიკაფა გზა პატივცემულ ჟურნალ „მწყემსში“?! რადგანაც მამა ხატიაშვილისაგან დასახელებულია გვარი იმისი, რომელსაც მონასტრების გამგებელს ეძახის, რადგანაც იმ დროს გამგებლად და წინამძღვრად იყო ალავერდის ეპისკოპოსი ბესარიონი და მე ჩამოთვლილ ტაძრების ხაზინადარი ვიყავი, ნება მიბოძეთ სიმართლე აღვადგინო.

1886 წლიდან ალავერდის ეპისკოპოსი ბესარიონი განაგებდა ალავერდს და შუა-მთის მონასტერს და შემდეგ თეთრ გიორგის ტაძარიც შეუერთეს, ვიდრე განსვენებული ეპისკოპოსი ქუთაისის საეპისკოპოსო კათედრაზე დაინიშნებოდა. მ. ხატიაშვილისაგან დასახელებული მონასტრებს კი არ განაგებდა, არამედ შემოსავალ-გასავლის წლიურ ანგარიშს ადგენდა და სხვა არაფერი. განა დადიანის ჩამომავალი ეპისკოპოსი ბესარიონი გამგებლობას სხვას დაუთმობდა და ისიც ერის კაცს? ეპისკოპოსი ბესარიონი აკადემიელი არ იყო, მაგრამ გამგებლობა და ბრძანებლობა წესიერი კარგად ეხერხებოდა და ამასთან რომ უფრო მეტის გამგებლობის სურვილიც ჰქონდა, ამას ამტკიცებს მათის მეუფების ქუთაისის კათედრაზე გადაყვანა.

თავისი გამგებლობა განსვენებულმა ბესარიონმა ხსენებულ ტაძრებისა მით დაიწყო, რომ ალავერდის სობოროსმდის გზა-ტკეცილი გააყვანინა, შუა-მთის ტყე, ზვარი და სახნავი მიწები ახალ წეს-რიგზე დააყენა, რასაც მეტად სასარგებლო შედეგი ჰქონდა: ტყე წინანდელზე ნაკლებად იკაფებოდა და მეტი შემოსავალი ჰქონდა, ალავერდში და შუა მთის მონასტერში წყალი გამოაყვანინა, ზვარი აბეჩხრობიდან გამოვიდა და მისმა მოსავალმა იმატა, მიწებმა ღალა შემოიტანეს. შუა-მთაში საეპისკოპოსო სასახლეააშენა, ალავერდის სობოროს მთლად გადახურვა განიზრახა და ეს საქმე იმ დონეზე დააყენა, რომ დაწყების მეტი არა უნდოდა-რა. სამსავე ტაძარს ყოველ წელიწადს შეკეთება ჰქონდა. ყოველ ამ საქმეს ზედამხედველობდა განსვენებული ეპისკოპოსი.

აბა, რაშია აქ გამგებლობა მონასტრებისა იმისაგან, რომელსაც მ. ხატიაშვილი ასახელებს? თუ ოდესმე იმას კეთილი რჩევა მიუცია, თუ მისი გონივრული რჩევა მიუღია წინამძღვარს, განა, ეს გამგებლობაა? არ შემიძლია არ ვაღვიარო, რომ ხსენებული პირი ჭეშმარიტი ღვთის მოსავი იყო. იმისაგან სადვთისმეტყველო საგნის ცოდნა გვაოცებდა ყველას. დარწმუნებული ვარ, თვითეული იმ მოძმეთაგანი, რომელთაც კი შეხვედრიათ მ. ხატიაშვილისაგან გაკიცხულ პირთან საუბარი, დიდის სიამოვნებით იგონებენ მას და არც ერთხელ თვის ლოცვაში არ დაივიწყებენ.

დიახ, ის მონასტრების გამგებელი კი არ იყო, იგი ძმათა ამხანაგი და დამრიგებელი იყო; მართალია, ანაფორა არ აცვია, მაგრამ ბევრს ანაფორიანს მოუკლდება მასთან. ბევრჯელ მოიგონებენ იმას ძმანი, რომლებიც იცნობდნენ.

ფერისცვალების მონასტრის მღვდელ-მონაზონი
ნიკიფორე

---

*) ავტორის თხოვნით იბეჭდება „ივერიიდან“.

სასამართლო

ივანე მურტაძის საქმე

გუშინ, 21 ივნისს, ტფილისის ოლქის სასამართლომ განიხილა საქმე ტფილისის მოქალაქის ივანე მურტაძისა, რომელსაც ჰბრალდებოდა სასამართლოს ბოქაულის ნათიაშვილისათვის წინააღმდეგობის გაწევა, როდესაც იგი სამსახურს ასრულებდა

1902 წლის 7 მარტს მომრიგებელ მოსამართლის გარდაწყვეტილების აღსასრულებლად სასამართლოს ბოქაული ნათიაშვილი პოლიციის მოხელეებთან ერთად წასულა მურტაძისას. სასამართლოს გარდაწყვეტილებით მურტაძეს შენობა უნდა აეღო ტფილისის მოქალაქის ჯანფოლადოვის ადგილიდან. როდესაც ბოქაულს სასამართლოს გარდაწყვეტილება გამოუცხადებია მურტაძისათვის, ეს უკანასკნელი გაჯავრებული შევარდნილა სახლში და თანჯრიდან თოფით ხელში დაჰმუქრებია: ვინც გაჰბედავს და ჩემის სახლისაკენ ფეხს გადმოსდგამს, აქავე გავათავებო. ბოქაული და პოლიციელნი უკანვე დაბრუნებულან.

გუშინ, 21 ივნის, საქმის გარჩევის დროს სასამართლოში მურტაძემ თავისი თავი დამნაშავედ აღიარა, მაგრამ განაცხადა, ტყუილია ვითომ თოფის სროლა დამეპირებინოს;მე მხოლოდ ხიშტიანი ჯოხი მეჭირა ხელშიო. შემდეგ მოწმებს ჩამოართვეს ჩვენება. ნახევარ საათის თათბირის შემდეგ ოლქის სასამართლომ გამოაცხადა განაჩენი, რომლითაც მურტაძე დამნაშავედ იქმნა ცნობილი და მიესაჯა ზოგიერთ განსაკუთრებულ უფლებათა ჩამორთმევა და ერთის წლით პატიმართა გამასწორებელ რაზმში გაგზავნა.

დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

20 ივნისი

ლონდონი. ახალს ბიულეტენში ნათქვამია: „მეფეს კარგად ეძინა. იმისთანა არაფერი არ მომხდარა, რომ მალე მორჩენას დაუშალოს.

რომი. „სტეფანის სააგენტო“ იტყობინება, რომ მეფეს განზრახვა აქვს პეტერბურგსა და ბერლინში წავიდეს: პეტერბურგს მივა ივლისში, ბერლინს—აგვისტოში.

რომი. გაზეთების ცნობებით მეფე პეტერბურგში მივა 30 ივნისს.

რომი. „ტრიბუნა“ ამბობს, რომ დღეიდან რომი შეუდგება იმპერატორების ნიკოლოზის და ვილჰელმის ღირსეულად მიღების მზადებას.

რომი. „ტრიბუნას“ სიტყვით, მეფე პრინეტის თანხლებით პეტერჰოფს წავა, სადაც მივა 30 ივნისს. აქ რამდენიმე დღე დარჩება და შემდეგ პირდაპირ იტალიაში წავა. დედოფალი არ გაჰყვება მეუღლეს, იმის მდგომარეობაში აუცილებელია, რომ მოგზაურობით არ დაიქანცოს.

სარატოვი. ნაბძანებია, 1903 წელს შეუდგნენ ასტრახანის გზის აშენებას სადგურს ფროდენფელდამდე.

ვილნა. გაიხსნა მეცხრე კრება ტელეგრაფისა და რკინის გზების ტეხნიკოსთა წარმომადგენლებისა.

ჰელსინგფორსი. სენატმა დაადგინა, გამოცხადებულ იქმნას, რომ უმავთულო ტელეგრაფის გაყვანა გენერალ-გუბერნატორის და შინაგან საქმეთა მინისტრის უდასტუროდ აღკრძალულია.

ყაზანი. ხელმწიფე იმპერატორისაგან ნაბოძების 50,000 მან. წყალობით ცეცხლისაგან დაზარალებულთა მწვავე გაჭირვება განელდა. 239 ოჯახობა სახლებში მოათავსეს, სადაც გაგეთებულია სამზარეულოები ათასის კაცისათვის.

ალექსანდროვსკი. სამეცნიერო-სამრეწველო ექსპედიციის გახსნას, რომელმაც უნდა მიაწოდოს მრეწველთ მურმანის გემებით სამრეწველო ცნობები, მარილი და სურსათი,—თანაგრძნობით მიეგებნენ. მრეწველნი 2,500 კაცი იყო. ხეებს იმღება.

21 ივნისი

პეტერბურგი. კიევის სამოსწავლო ოლქის მზრუნველის თანაშემწე იზვოლსკი რიგას ოლქის მზრუნველად დაინიშნა.

სამინაო საქმეთა მინისტრმა დაადგინა: გაზეთ „სევერნი კავკაზ“-ს ორის თვით აღეკრძალოს კერძო განცხადებების ბეჭდვა.

პარიზი. სენატმა უკამათოდ მიიღო პირველი მუხლი იმ კანონისა, რომელიც ორი წლის ვადიან სამხედრო სამსახურს შეეხება. ამ მუხლში გამოცხადებულია, რომ ყოველი ფრანგი მოვალეა თვითონ მოიხადოს სამხედრო ბეგარა.

ლონდონი. გუშინდელი ბიულეტენი: „მეფემ დღე კარგად გაატარა; საერთოდ ჯანმრთელობა უკეთესობაში მიდის; ჭრილობა მხოლოდ ცოტად-და აწუხებს.“

რომი. იტალიის სამხედრო გემმა „კარლ-ალბერტ“-მა, რომელიც ბრიტანიის წყლებშია, ბრძანება მიიღო კრონშტადტში წავიდეს.

პარიზი. დეპუტატმა შატნემ იკითხა: სამთა კავშირობის განახლება ხომ არ მოიტანს საფრანგეთსა და იტალიას შორის დამოკიდებულებაზედ ზედ გავლენასო. ამაზედ დელკასემ უპასუხა: „ჩვენ და რუსეთს შორის დამოკიდებულება სულ იმას ცდილობდა, რომ გაეუმჯობესებინა საზოგადოდ ხალხთა შორის დამოკიდებულება და განსაკუთრებით ჩვენი დამოკიდებულება იტალიასთან; ამით მოიგო საფრანგეთმაც და იტალიამაც. მოახლოვდა თუ არა სამთა კავშირობის განახლების მომენტი, იტალიამ გამოგვიცხადა და დაგვარწმუნა, რომ ამ კავშირობის განახლებით ჩვენ შორის დამოკიდებულება არ შეიცვლებაო და იტალია არასოდეს არ მიემხრობა იმ პოლიტიკას, რომელსაც ჩვენზე გამოლაშქრების წადილი ექმნებაო“.

პეტერბურგი. უმაღლესი ბრძანება გამოვიდა, რომლითაც საფინანსო მინისტრმა უნდა გამოსცეს $4^0/_0$ სახელმწიფო რენტა ათი მილიონ მანეთისა. ეს რენტა მაშინ უნდა გამოიცეს, როცა ამის საჭიროებას თვითონ მინისტრი დაინახავს და უნდა მოახმარდეს მოსკოვო-იაროსლავის რკინის გზის ყოფილ საზოგადოების მიერ 1893 წელს გამოცემულ $4^1/_2{}^0/_0$ ობლიგაციების გამოსყიდვას და იმ კერძო დაწესებულებათა ობლიგაციების შეძენას, რომელთაც საზოგადო-სახელმწიფო მნიშვნელობა აქვთ.

„პრავიტ. ვესტნიკ.“-ში დაბეჭდილია უმაღლესად დამტკიცებული დებულება საფინანსო უწყების ქვეშე მყოფ საზღვაო სკოლების შესახებ.

გამომც. და დრ. რედაქტორი **ალ. ჯაბადარი.**

გამოსადეგი ცნობანი

პეტერბურგის ბირჟა 14 ივნისს.

გექსილის კურსი 3 თვით:

ლონდონზე 10 გირვ. სტ.—ში	94,10	
ბერლინზე 100 მარკაში	$46{,}02^1/_2$	
პარიზზე 100 ფრანკში	—	
ლონდონზე ჩეკები	94,75	
ბერლინზე „	46,30	
პარიზზე „	—	
ბირჟის დისკონტი	$4^1/_2$—$6^1/_2{}^0/_0$	
$4^0/_0$ სახელმწიფო რენტა	$96^3/_4$	მყიდვ.
$4^0/_0$-ანი სახელმწ. სესხი 1902 წ.	$98^3/_4$	„
$4^1/_2{}^0/_0$ შინაგანი სესხი 1893 წ.	—	
$4^0/_0$ გირავნ. ფურც. სახელ. საადგ.-მამ. ბანკისა.	—	
$5^0/_0$ 1-ლი შინაგან სესხის მომგებ. ბილ. 1864 წ.	465	გაყიდ.
$5^0/_0$ მეორე შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1866 წ.	$356^3/_4$	„
$5^0/_0$ გირავნ. მომგ. ფურც. სახელმ. საადგ.-მამ. ბანკისა	$287^1/_4$	„
$5^0/_0$ ობლიგაციები ტფილ. საკრედიტო საზოგ.	—	
$4^1/_2{}^0/_0$ ობლიგაც. იმავე საზოგადოებისა	—	
ტფილ. საადგილ-მამ. ბანკის $5^0/_0$ გირავნ. ფურც.	$85^5/_8$	„
$4^1/_2{}^0/_0$ გირავნობის ფურც. იმავე ბანკისა	—	
ქუთაისის საადგილ-მამ. ბანკის $6^0/_0$ გირ. ფურც.	—	
$5^0/_0$ გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა.	$89^1/_4$	„
ა. ი. მანთაშევისა და ამხ. აქცია	170	„

მიმოსვლა რკინის გზის მატარებლებისა

(ფრჩხილებს გარედ ნაჩვენებია პეტერბურგის საათი, ფრჩხილებში კი—ტფილისისა)

ა) ტფილისიდან მიდის:

ბათუმს—1)№ 1 სწრაფი - დილის 6 ს. და 45 წ. (7 ს. 43 წ.); 2) № 3 სათოსტო—ნაშუადღევის 5 ს. 9 წ. (6 ს. 7 წ.); 3) № 5 სამგზავრო—დილის 8 ს. 29 წ. (9 ს. 27 წ.).

ბაქოს—1) № 2 სწრაფი (მხოლოდ პარასკევობით)—დილის 10 ს. 51 წ. (11 ს. 49 წ.) 2) № 4 სათოსტო—დილის 12 ს. 36 წ. (1 ს. 34 წ.); 3) № 6 სამგზავრო—საღამოს 7 ს. 24 წ. (8 ს. 22 წ.).

ბორჯომს—№ 7—დღის 1 ს.30 წ.(2 ს 28 წ.)

ყარსს—№ 74/75 საღამ. 8 ს. 30 წ. (9 ს. 28 წ.).

ტფილისში მოდის:

ბათუმიდან—1) № 2 სწრაფი—დილის 9 ს. 4წ. (10 ს. 2 წ.); 2) № 4 სათოსტო—დღის 11 ს. 34 წ. (12 ს. 32 წ.); 3) № 6 სამგზავრო—სად. 6 ს. 39 წ. (7 ს. 37 წ.).

ბაქოდან—№ 1 სწრაფი (შაბათობით)—დღის 2 ს. 45 წ (3 ს. 43 წ.); № 3 სათოსტო—დღის 3 ს. 56 წ. (4 ს. 54 წ.); № 5 სამგზავრო—დილის 7 ს. 39 წ. (8 ს. 37 წ.)

ბორჯომიდან—№ 8—სად. 5 ს. 59 წ. (6 ს. 57 წ.).

ყარსიდან—№ 76/77 დილის 6 ს. 20 წ. 7 ს. 18 წ.).

ბ) ბათუმიდან გამოდის:

ტფილისისაკენ—1) № 2 სწრაფი—ღამის 10 ს. 10 წ. (11 ს. 8 წ.); 2) № 4 სათოსტო—სადამ. 11 ს. 5 წ. (12 ს. 3 წ.); №6 სამგზავრო—დილის 7 ს. 5 წ. (8 ს. 3 წ.).

გ) ქუთაისიდან გამოდის:

ტფილისისაკენ—1) ღამის 12 ს. 30 წ. (1 ს. 28 წ.); 2) ღამის 2 ს. 50 წ.(3 ს.48 წ.)

ბათუმისაკენ—1) დღის 12 ს. 55 წ. (1 ს. 53 წ.) 2) ღამის 12 ს. 30 წ. (1 ს. 28 წ). 3) დღის 3 ს. 40 38 წ. (4 ს. წ..)

შორაპნისაკენ - დღის 2 ს. (2 ს. 58 წ.).

განცხადებანი

ტფილისში, ვარანცოვის ქუჩის დასაწყისში ძველ აბანოებთან მარცხნივ თათრის მოედნიდან გაიმართა ევროპიულად მოწყობილი

ტფილი გოგირდის აბანო

„ფანტაზია“

თავად სუმბათაშვილებისა, რომელშიაც ცალკე ნომრებიც არის და საერთო საბანოც (კაცებისათვის). როგორც ნომრებში, ისე საერთო აბანოში აუზები სულ მარმარილოსია, იატაკი დაგებულია ტომეტის ფილაქნით და კედლები და თაღები-კი სულ საზღვარ-გარეთის ჩინურით (კაფელით). საუკეთესო სუფთაობა, წყალი ბუნებით გოგირდისაა. წყლის სითბო 37^{50} ც. ფასი მცირეა. კონკაც იქვე დგება.

იჯარადარი ა. თოიძე (ზანდრო).

ტელეფონი № 555. წლ.—6).

ტფილისიდან გასვლის გამო ვყიდი
ჩუღურეთში

იაფად

სახლს

მსურველს ვსთხოვთ მიჰმართონ „ცნობის ფურცლის“ კანტორაში, შუადღის 12 საათიდან ვიდრე 3 საათამდის. (10—1)

«წიგ. გამომც. ქართველთა ამხანაგობის»

კიოსკში,

ლორის-მელიქოვის ქუჩა, ალექსანდროვის ბაღის კუთხეში, იყიდება ამხ. გამოცემული წიგნები:

	მ.	კ.
დაბადება და აღზრდა ერეკლე ბატონიშვილისა—პოემა ბაჩანასი	—	10
იოსებ დავითაშვილის ლექსები	—	50
დ. ყაზბეგის I, II და III ტომი თითო	1	—
იგივე IV ტომი კარგ ქაღალდზე	1	50
ი. ჭავჭავაძის I ტომი	—	70
იგივე II და III ტომი თითო	—	60
იგივე IV ტ. ორ წიგნათ	—	80
სოფლის კუნწულა—დ. მაჩხაანელისა	—	10
სიბრძნე-სიცრუე—საბა სულხან ორბელიანისა	—	40
აკაკი წერეთლის I და II ტომი თითო	—	60
რაფ. ერისთავის I ტომი	—	60
საქართველოს წარსული დრო—პოტტოსი	—	30
სამზარეულო—ქართული და ევროპიული საჭმელებისა	1	20
აივენგო, რომანი—ვალტერ სკოტისა	—	50
სიბრძნე ბალავარისა	—	30
აღა-მამად-ხანის შემოსვლა ტფილისში	—	15
დვინის დაყენება პროფეს. გ. პეტრიაშვილისა	1	50
რძე, მისივე	1	50
ცეცხლით და მახვილით, რომანი—გენრიკ სენკევიჩისა	—	80
დასტურ-ლამა	—	20
ტარტიუფი, კომედია 5 მოქ. მოლიერისა	—	50
სურათები საქართველოს მეფეთა, დედოფალთა და ბატონიშვილთა	—	20

პროვინციელთ შეუძლიათ წიგნები ფას დადებით გაიწერონ, ხოლო გაწერილ წიგნების ფასის ერთი მესამედი პირველად უნდა წარმოადგინონ. მანეთზე ნაკლები ფული შეუძლიათ ფოსტის მარკებით გამოგზავნონ. ფოსტის ადრესი: Тифлисъ Грузинское Издательское Товарищество.

Дозволено цензурою Тифлисъ, 21 Іюня 1902 года.

ელექტრონით მბეჭდავი სტამბა წიგნების გამომც. ქართ. ამხანაგობისა.